



ხელის მოწერა და კანტორის განცხადებანი მიიღება „საქართველოს კანტორის“ კანტორაში ყოველდღე კვირა უწყვეტად გარდა, დღის 9-3-მდე, საათის 5-7-მდე.

განცხადების უწყისი: ჩვეულებრივი სტრუქტონი პირველ გვერდზე პეტრეტი ლორს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლო-ვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) და ელირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორის განცხადება

გაზეთი „საქართველოს“ წლის დამლევიმდე ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ამნაირად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი. ურნალ „კლდის“ ხელის მოწერით, რომელთაც გადახდილი აქვთ მთელი წლისა (5 მან.), „საქართველოს“ გაგზავნებათ მხოლოდ პირველ მკათათემდე. „კლდის“ ხელის მოწერით, რომელთაც სამს მანეთამდის აქვს შემოტანილი, „საქართველოს“ მხოლოდ პირველი ნომერი გაგზავნებათ.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მოწერით დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდენსე მათ გაზეთი არ მიუყვება.

სამხრეთ-აღმოსავლეთით, დნესტრის გაყოლინაზე, ავსტრიელთა ჯარი პერემი-შლიანიდან 20-30 ვერსის მანძილზე მდინარე გნოლია ლიპას აღმოსვლა და მოილტვის მეორე მდინარე ზოლოტაია ლიპასკენ, მაგრამ მთელ ამ მიმართულ-ბაზე რუსის ჯარი მას დიდ წინააღმდე-გობას უწყევს.

დ ა ჯ ე შ ე გ ი

პეტროპოლი, 18 ივნისი. მთავარი შტაბის ოფიციალური მოხსენება. გერ-მანელთა იერიშები მდ. ვებრისა და ბუგის შუა ისევ გრძელდება, განსაკუთრებით 16 ივნისს მოწინავე რაზმთა შორის სასტიკი ბრძოლა მოხდა ტომავე-ზამოსტის შუა და სოვალის გზისკენ.

პეტროპოლი, 17 ივნისი. უცხოეთის რადიოტელეგრაფიაში გერმანულ ენაზე, ამ უკანასკნელ დღეებში, სტოკჰოლმი-დან ერთი ამბავი გაკრულდა, თითქოს სედერარნის კუნძულის მახლობლად ჰოლანდელთა რუსის ნაღმოსანს აფეთ-ქების კოლანდის გემი „კენესი“ და არ მიშველებოდას ამ ნეიტრალიტეტის გემის მეზღვაურებს. ავტორიტეტული წყაროე-ბიდან რწმუნება გვაქვს გამოვაცხადოთ, რომ ეს ამბავი თავიდან ბოლომდე სი-კრუთა, რადგანაც რადიოტელეგრაფიაში ნახვენებ დროს არც ერთი რუსის ნაღ-მოსანი იმ ადგილებში არ ყოფილა.

ვისლის მარცხენა ნაპირს ბრძოლა ასე მიმდინარეობდა 12 და 13 ივნისს, ოკაივის რაიონში: 12 ივნისს ავსტრიე-ლები წამოვიდნენ იანიკუზზე. როდესაც მტერი რუსების მეთვლიან ჯებრის გაუს-წორდა, რუსის ერთმა ბატალიონმა ენერ-გიული სროლა აუტეხა. მტერმა მრავალი ჯარისკაცი დაჰლუა ბრძოლის ველზე და უუყოცა. საღამო უამს ავსტრიე-ლებმა იერიში მოიტანეს შიმანუევის პოზიციებთან. რუსები ამ პოზიციებს იცა-ვდნენ ძლიერი საარტილერიო ბრძოლის წყალობით, რომ უცხად მოულოდნელის შემოტევით ავსტრიელებმა ადგილიდან დასძრეს რუსის მოლაშქრეთა ერთი ნა-წილი, ამავე დროს ორი რაზმი და მო-ლაშქრეთა ერთი ბატალიონი, რომელ-თაც ავსტრიელები შემოერტყენ წვერი-დან ტ. ზურგიდან, თავგანწირვით ებრძო-დნენ და მტრებს იკერიებდნენ. ამასობა-ში მოვიდა საველე ბატალიონი და გაა-ნადგურა ავსტრიელთა ის რაზმები, რომ-ლებმაც გაარღიეს რუსის ჯარის წყო-ბა. რამდენიმე სადემონსტრაციო შე-მოტევის შემდეგ სხვა და სხვა ადგილას, ავსტრიელთა ჯარი ძლიერის იერიშით წამოვიდა 13 ივნისს გლინაის რაიონ-ში, რომელიც დაქერილი ჰქონდა ყაზა-ხებს და ერთ ბატალიონს. ავსტრიელების არტილერიამ რუსების ტყვიისმტრე-ველები დააქცია. მიუხედავად რუსის ბატარეის მიზან-სწორი სროლისა, ავს-ტრიელები მოადგნენ რუსების მავთუ-ლებთან ჯებრის, და გადასტრეს იგი. ყა-ზახები მედგრად იყვნენ, ხოლო ქვეითი ბატალიონი იძულებული იყო დაეხია უკან თხრილებისკენ, რადგან ავსტრიე-ლთა ჯარი ახალ-ახალი რაზმებით აწვე-ზოდა მას. დივიზიის უფროსმა შესთავა-ზა გენერალ-მაიორ ტოკარეცს, რომელიც უფროსობდა თავდასხმულ პოლკს, 4 ბა-ტალიონი მავთელი ჯარი, მაგრამ ტოკა-რეცმა უარი სთქვა დახმარებაზე, და პოლკის ერთი სარეზერვო ბატალიონით

ეცვრა თხრილებში ჩამსდარ ავსტრიე-ლებს. ერთი საათის ხელჩართულ ბრძო-ლის შემდეგ, ავსტრიელები გაიქცნენ, რუსებმა გაქცეულები მოიშვეყდეს მავ-თულებთან ჯებრის იმ ნაწილთან, რომელიც გადაურჩა ავსტრიელებს, და სა-თითაოდ ამოსწყვიტეს ისინი. რუსებმა მოიგერიეს ავსტრიელთა მავთელად მო-სულ სარეზერვო ჯარის კონტრ-იერიშე-ბი ღამის პირველ საათზე. მძიმედ დას-ჭრეს მამაცი კომანდირი ტოკარევი ხელ-ჩართულ ბრძოლაში და გზაზედ გარდაი-ცვალა შესახვევ პუნქტისკენ. ავსტრიე-ლებმა თხრილებში მარტო ერთი როტი-დან 400 კაცი მკვდარი დასტოვეს. ხო-ლო მავთულებთან ჯებრითან 1000 კაცამ-დე თითოეულ თხრილთან ორმოცდა ათ-ათი გვამი ეყარა. ბრძოლის სიმაკრის გამო, ტყვედ რუსებს კოტა წამოუყუა-ნიათ, სულ რაღაც 50 კაცი. რუსებს მო-უტყვევ ერთი კომანდირი, ორმოცი ჯა-რისკაცი და დაუტრეს ოთხი აფიცარი. 161 ჯარისკაცი. უგზო-უგვლოდ დაიკარ-გა 126 ჯარისკაცი. ამ უკანასკნელთა შორის მეტი წილი დაჭრილებია, რომ-ლებიც პირველ უკუდახვევის დროს რუ-სებმა დასტოვეს.

პარიზი, 17 ივნისი. იზერის ნაპირზე არასის ჩრდილოეთით საარტილერიო ბრძოლა. უაზისა და არგონების შუა შედარებით სიწყნარე ჩამოვარდა. არგო-ნებში ბინარულისა და ფურდუბის შუა გერმანელებმა იერიში მიიტანეს ფრანგთა პოზიციებზე. ფრანგებმა ორჯერ მოიგე-რეს მათი იერიშები, ხოლო მესამეჯერ იძულებული გახდნენ ზოგიერთი ადგილი დაეთმოთ მათთვის ბაგატელის მიმართუ-ლებით. ასევე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა ვერდენის ჩრდილოეთით აიის ტყის მხარეს მეტეერალის მიდა-მოებში.

დარდანელში 8 ივნისის გამარჯვების შემდეგ ფრანგი ჯარები მხოლოდ ადგი-ბულ პოზიციებზე იხარებენ ფეხს. რამ-დენიმე ახალი თხრილი დაიჭირეს. რამ-დენიმეჯერ იმსალნი უკუტყვეულ იქმნენ კონტრიერიშების დროს. 14 ივნისს ინ-გლისის ჯართა მარცხენა ფრთამ წინ წა-იწია. მას ზურგს უზებებდა ჩვენი არ-ტილერიის ერთხანად ერთის დაკვრით მან აიღო 4 რიგი ოსმალთა ხახისა და 1,500 მეტრით წინ წაიწია. ტყვედ წა-მოიყვანა 180 ჯარისკაცი, წინაღობით ოსმალთა კონტრიერიშები მოგერიებულ იქმნა.

ლოდონი, 17 ივნისი. იმ ამბის გა-მო, რომ შვეიცია მოკავშირეებს ნაკლებ მეგობრულს თვალთ უყურებს, ტამის სწერს: ჩვენ გვესმის რუსეთისგან გა-მოწვეული შიში შვეიცისა, თუმცა ჩვენ ამის თანახმად არა ვართ, არც იმის მომხრეები ვართ, ვითომცა გერმანიის ინ-ტრიგის დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. ჯანსაღ აზროვნებას შვეიცელ ხალხისას ვერ შეარყევს თვით თავდაჭერილობა მაღალწოდებისა. მეფე გუსტავს შეუძ-ლიან განახორციელოს მტკიცე ნეიტრ-ალიტეტი ომის ვითარებაში.

სამბინი, 17 ივნისი. შვეიცარიელებმა ალბანიაში მდინარე ბოიანეს ნაპირები და შესამჩნევი სტრატეგიული ადგილები დაიჭირეს, რათა აქედან მშვიდობიანობა აღადგინონ და განუწყვეტელი კავშირი იქონიონ ბაიანში. როდესაც ეს უკვე გა-ნახორციელეს, სკუტარის მამახალისებში მიეგებნენ სარდალს და სთხოვეს დაიპყ-როს ქალაქი და აღადგინოს წესიერი და საზოგადოებრივი სიმშვიდე. სარდალი საღამოთი ქალაქში შევიდა, სადაც მას ხალხი ალტაცებით მიეგება.

ლოდონი, 17 ივნისი. დარდანელთან ბრძოლის გამო ოფიციალურად იუწყე-ბიან: სასტიკი ბრძოლისა და უმძაბრების დაშენის შემდეგ, რომლის დროსაც საფ-რანგეთის არტილერიამ დიდი დახმარე-ბა გაგვიწია, ბრიტანიის ჯარმა იერიში მიიტანა, რომ ბრიტანიის მარცხენა წვე-

რი ნახევარ მილით წინ წაგვეწია და ფრონტის ახალი ხაზი აღმოსავლეთით მოგვეგვარებინა. ამ იერიშმა მეტი სარ-გებლობა მოგვცა, ვიდრე ჩვენ მოველო-დით. ოსმალთა პირველი სიმაგრე, რომელიც საგირდერგისთან იყოფებოდა, შოტ-ლანდიელ პოლკისგან მამაკურად იქმნა აღებული. ქვეითი ჯარის საერთო იერი-ში დილის 11 საათზე დაიწყო და მთელს ხაზზე გამარჯვებით დასრულდა. თხრილების სამი წრე საგირდერგისა და მეტი წინააღმდეგობის შემდეგ დავი-ჭირეთ. ოსმალთა გვამებით თხრილები საესვა. აქ 100 ტყვე შევიპყარით. აღ-მოსავლეთით მეორე შოტლანდიის პო-ლიცმა იერიშით ორი წყება თხრილებისა დაიჭირა, მაგრამ ოსმალთა ჯარმა აქ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და წინ აღარ წააწვიანა. განმეორებით იერიში ხევიდან დასავლეთით ღა-მის 11 საათზე დაიწყო და ორი წყება თხრილებისსა დაიჭირა. ამავე დროს ინ-დოელების ჯარი ფერდობებზე ეტა-კა და კრიტიდან დასავლეთით მა-ლომები დაიჭირა და პოზიციე-ბი გაიმავრა. მარცხენა ფრთიდან 1000 იარაღი ადგილი დავიჭირეთ. მეორე დღე-საც იერიში მიეიტანეთ და რამდენიმე თხრილები ავიღეთ, რომელნიც ვერ კი-დეშ მოწინააღმდეგის ხელში იყო და მედგრად იცავდა. ღამით მოწინააღმდე-გემ იერიშები მოიტანა, მაგრამ უუტყვეულ იქმნა ხარაღით. ერთი რაზმი ოსმალებისა შემოგვეჭრა, ტყვისმტყო-ცნელები დაუშინეთ განთიადისს და დიდი ზარალი მიგყენეთ. ნაწილი რაზ-მისა ტყვედ დაგვტანდა. თხრილების მცირე ნაწილის გარდა მარცხენა ფრთი-სკენ მეტი წილი თხრილებისა ჩვენ ხელთ ვიგდეთ.

პეტროპოლი, 17 ივნისი. რუსეთის წითელ ჯვრის მთავარ გამგებამ დანიის წითელ ჯვრისაგან მიიღო გერმანიის მთავრობის დადგენილება სამხედრო ტყვეების მიწერ-მოწერაზე. ამ დადგენი-ლებით ყოველ ტყვეს უფლება ეძლევა გაგზავნის კვირაში ერთი ღია ბარათი და თვეში ერთი დახურული. იმ ტყვეებს, რომელთა ბინადრობა არ იცინა, არ უნ-და ეგზავნებოდეს ფული და ამანათი. სამხედრო ტყვეებისთვის ფულის გაგზავ-ნა შეიძლება, რადგანობა კი დაექვემდე-ბარება ფოსტის საზოგადო კანონებს.

სამბინი, 16 ივნისი. სამთავრობო ორ-განო და პრესა არცევეს დიდ ბრიტანიის აღმორალის განკარგულებას. მთავრობა აცხადებს, რომ ამ თვის ელჩის პირით მან პროტესტი გამოუცხადა ინგლისს.

პარიზი, 17 ივნისი. პრეზიდენტის ბრძანებით ადგილობრივ მთავრობას ევალება ზომები მიიღოს იპონენელ საქო-ნელთა ბოიკოტის წინააღმდეგ.

ლოდონი, 17 ივნისი. „ტამის“ ატ-ყოზინებენ, რომ კრეიერის „გუსტარმა“ ზარბაზნები დაუშინა აიის ნაპირას მდე-ბარე ნავთსადგურებს, ჩესმუს, ლიდაის და ანგლელის, განადგურა სამხედრო სურსათის საწყობი და ნავთის აუზი ლი-დაში. ხოლო ანგლელაში ტამიენა დაანგარა. ოსმალეებმა ათი ათასჯერ გაი-სროლეს კრეიერის წინააღმდეგ, მაგრამ უნაყოფოდა.

სტოკოლმი, 17 ივნისი. ინგლის-შვეციას შორის ჩამოვარდნილ გაუგებ-რობის გამოსარკვევად ინგლისის დლე-გაციასთან მოსალოაპარაკებლად შვეციის მხრივ ინიშნება კონსერვატიულ პარტიის ლიდერი, ყოფილი მინისტრი-პრეზიდენტი ლინდმანი, ყოფილი მინისტრი საგარეო საქმისა ტროლერი, ინჟინერი ვალბერგი და საკომერციო კოლეგის წევრი დილნერი.

სტოკოლმი, 18 ივნისი. ბერლინიდან იუწყებიან, რომ 27 ივნისს იწყება საფ-რანგეთ-გერმანიას შორის მძიმე დაჭრილ-თა გაცვლა-გამოცვლა.

სოფია, 17 ივნისი. ოფიციალურა „ნა-როდნი პრავო“-მ 16 ივნისს წერილი

კ. ზუგლაშვილი სახალხო სახლი. შაბათს, 20 ივნისს. ბასო აბაშიძის, ვალ. გუნიას და მ. გამყარაძის მონაწილეობით ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ალ. ყაზბეგისა.

პირველხარისხოვანი „კ ა ფ ე ბ ო რ დ ო“. მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანი № 1. შაბათ, ყოველგვარი მსხმ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1-6 საათამდე. სადილი 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენობური სა-ქმელები: ხარჩო, ლომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყა-ლი, ცხელი „პიროკეები“. თეთრად მოსაღილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღია დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე. პატისციერით რაჟდენ იხველიანი.

ლოკობრი ვედიცინისა. მოსე ანთიმოსის მე კალანდარიშვილი. უფროსი ექიმი ტფ. კადეტა კორპუსისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნე-ულეებთან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტა კორპუსის აგარაჟში.

ო მ ი ს დ ღ ი უ რ ი მიმოხილვა. ლიბავიდან მოყოლებული ვისლა-სანის შესართავამდე ცვლილება არ მოხდარა, მაგრამ „არმ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, ბრ-ძოლა მთელ ხაზზე სწარმოებს. თქმა არ უნდა, რომ ამ მცირე და მოზრდილ შეხლა-შეჯახებას მჭიდრო კავშირი აქვს გალი-ციასა და ლიუბლინ-ხოლმის პირზე გან-ზრახული ახალ ოპერაციასთან. ზემოდ ბუგო-ნარევის ხაზსა და ვარშავის მიდა-მოებში გერმანელებს ჯერ-ჯერობით მი-ზნად აქვთ რუსის ჯარის თვალ-ყურის გდება, მუდმივი ზეგრა, მისი ყურადღების მიპყრობა, ერთ ადგილზე მიგრება, რა-თა აქედან ჯარის ნაწილი გალიციაში არ გადაიყვანონ. ცხადია ისიც, რომ თა-ვის დროზე გერმანელები ერთ ადგილას თავს მოუყრიან დიდ ჯარს, საერთო ე-

რიშით წამოვლენ და ეცდებიან სადმე რუსის ჯარის გარდევას და სამხრეთი-დან ხოლმ-ბრესტისკენ მომავალ ჯართან მოქმედების შეთანხმებას. დღევანდელ დებუებებიდან სჩანს, რომ გენერალ მაკენზენის ჯარი ვებრისა და ბუგის შუა მოიწევს. 16 ივნისს ზამოს-ტისა და სოკალის შუა მეტად ცხარე საარტილერიო ბრძოლა ყოფილა, მაშა-სადამე, რუსის მთავარი ჯარი მოდის ხოლმ-ლიუბლინის ხაზზე, სადაც იგი აღ-ბად დიდ წინააღმდეგობას გაუწყვეს მო-პირდაპირეს და შეიძლება გენერალური ბრძოლაც სწორედ აქ მოხდეს. აღმოსავლეთ გალიციაში ჩრდილოეთ-სკენ მიქცეული ბრძოლის პირი ქალაქ სოკალთან უცებ სამხრეთისკენ ბრუნდე-ბა, გადის კამენკას, პერემიშლიანს და ჩადის გალიცამდე; აქედან იგი უხვევს





